1970/2

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 10 (357)

1970 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 10 (357) ოქტომბერი 1970 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

153. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გარდაბნის, ზესტაფონისა და ცაგერის რაიონებში სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ.

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქარელის რაიონის აგარის № 99, გორის რაიონის კარალეთის № 90, ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის დღის შესახებ.

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გორის რაიონის კარალეთის № 90, ქარელის რაიონის აგარის № 99 და ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობათა დამტკიცების შესახებ.

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების მორიგი არჩევნების ჩატარების შესახებ.

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ.

11.363

საქართველოს რეს. ბიბლიოთეკა

160. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ტყიბულის და ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში დეპუტატების მონაწილეობის შესახებ.

161. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოსუმის სასოფლო № 186 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

განყოფილება მეორე

162. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

163. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

164. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

165. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

166. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ჩავლეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

167. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. ხვარწკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. მ. რცხილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ხარებავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

170. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. პ. ჯოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 2 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 გარდაბნის, ზესტაფონისა და ცაგერის რაიონებში სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გარდაბნის, ზესტაფონისა და ცაგერის რაიონის სახალხო მოსამართლეებმა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმე.

შემოწმებული რაიონების სახალხო მოსამართლეები ამომრჩევლებს პერიოდულად აბარებენ ანგარიშს სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ, კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს, მოსახლეობას აცნობენ სასამართლოების მიერ გაწეულ მუშაობას, საბჭოთა კანონმდებლობას და სხვა აქტუალურ საკითხებს.

გასულ და მიმდინარე წელს გარდაბნის რაიონის სახალხო მოსამართლეები ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშით გამოვიდნენ 44-ჯერ, ზესტაფონის რაიონის — 42-ჯერ და ცაგერის რაიონისა — 17-ჯერ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ლექცია-მოხსენებების რიცხვი. გარდაბნის რაიონის სახალხო მოსამართლეების მიერ ჩატარებულია 24 ლექცია-მოხსენება, ზესტაფონის რაიონში — 32, ცაგერის რაიონში — 20. ამომრჩეველთა მოთხოვნის შესაბამისად სასამართლოების მუშაობაში ფართოდ დაინერგა გამსვლელი

სხდომების ჩატარება, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა, იურიდიული კონსულტაციები, გაუმჯობესდა მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და სხვა.

ამასთან ერთად გარდაბნის, ზესტაფონისა და ცაგერის რაიონების სახალხო მოსამართლეებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების, განაწესებისა და წინადადებების აღრიცხვის და განხილვის საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებანი. საანგარიშო კრებები ზოგჯერ ტარდება დაბალ დონეზე. საკითხების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ ამომრჩევლები, საანგარიშო მოხსენების ირგვლივ არ იმართება მსჯელობა, არ მიუთითებენ ნაკლოვანებებზე და სხვა. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, არ წარმოებს საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა მიერ შემოტანილი საქმიანი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა, არ განიხილავენ მათ სასამართლოს მუშაკთა თათბირებზე და არ ატარებენ ამ წინადადებათა შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლეები გასულ და მიმდინარე წელს არც ერთხელ არ გამოსულან ანგარიშით ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, მარმარილოს მაღაროთა სამმართველოს, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატისა და ზოგიერთ სხვა მსხვილ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეთა წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საჭირო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ სახალხო მოსამართლეებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების, ამომრჩეველთა წინადადებების და განაწესების აღრიცხვისა და შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს გარდაბნის, ზესტაფონის და ცაგერის რაიონების სახალხო მოსამართლეებს მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მოთხოვნა სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების შესახებ, რისთვისაც:

ა) სისტემატურად გამოვიდნენ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშით სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ, თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დანაშაულობათა გამომწვევ მიზეზებს და მასთან ბრძოლის ამოცანებს;

ბ) ფართოდ გააცნონ მოსახლეობას საბჭოთა სასამართლოს როლი და ამოცანები, მოქმედი კანონმდებლობა და სხვა აქტუალური საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებულ წინადადებების აღრიცხვასა და განხილვას, არ დაუშვან ამომრჩეველთა მიერ შემოტანილი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეაგირების გარეშე დატოვება;

გ) ამომრჩევლებთან კავშირის განმტკიცებისა, დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში მოსახლე-

ობის ფართოდ ჩაბმის მიზნით ხშირად მოაწყონ ლექცია-მოხსენებები, გამოსვლები პრესასა და რადიოში. განამტკიცონ კავშირი ამხანაგურ სასამართლოებთან, სახალხო რაზმელებთან, ქუჩისა და სახლის კომიტეტებთან და სხვა სახალხო გადოებრივ ორგანიზაციებთან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სახალხო მოსამართლეთა მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებაზე. მიაღწიოს იმას, რომ თითოეული სახალხო მოსამართლე პერიოდულად ხვდებოდეს ამომრჩევლებს და ანგარიშს აბარებდეს სახალხო სასამართლოს მუშაობის, განაწესებისა და წინადადებების შესრულების საკითხებზე.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ზომები საანგარიშო კრებების მომზადება-ჩატარებისათვის. პერიოდულად მოისმინონ აღმასკომის სხდომაზე სახალხო მოსამართლეების ინფორმაციები ანგარიშების ჩაბარების, განაწესებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 2 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 47-ე მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1960 წ., № 18, მუხ. 181; 1965 წ., № 28; მუხ. 578; 1967 წ., № 6, მუხ. 349) და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„47. არჩევნების დღეს, საღამოს 10 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ამ ვადაზე ადრე, თუ ყველა ამომრჩეველი, რომელიც შეტანილია ამომრჩეველთა სიაში, გამოცხადდა არჩევნებზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 8 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 ამხ. ვ. ი. მაისურაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე **მაისურაძე** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად და გათავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 12 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 ქარელის რაიონის აგარის № 99, გორის რაიონის კარალეთის №90, ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქებში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატებისა, ქარელის რაიონის აგარის № 99, გორის რაიონის კარალეთის № 90 და ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქებში კვირას, 1970 წლის 15 ნოემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 13 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 გორის რაიონის კარალეთის № 90, ქარელის რაიონის აგარის № 99 და ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39-ე, 40-ე და 41-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღ-

ლესი საბჭოს არჩევნების გორის რაიონის კარალეთის № 90, ქარელის რაიონის აგარის № 99 და ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქების ოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლობების შემადგენლობით:

გორის რაიონის კარალეთის № 90 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — მარიამ ზაქარიას ასული ბახარაშვილი — მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ალექსანდრე გალუსტას ძე ბერაშვილი — გორის რაიონის კარალეთის ტერიტორიული პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — მარიამ ალექსის ასული გუსაშვილი — განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ეკატერინე იოსების ასული ბაზანდარაშვილი — გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

მარიამ ზაქარიას ასული ნადირაძე — გორის რაიონის ტინისხიდის საკოლმეურნეობათაშორისო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენე მეურნეობის წევრებისაგან;

ირაკლი რუბენის ძე ადუაშვილი — გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ნუგზარ იასონის ძე მეზვრიშვილი — გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

გიორგი ზაქარიას ძე ბალიაშვილი — გორის რაიონის კარალეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ოთარ ბაგრატის ძე ზაზარაშვილი — გორის რაიონის კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ქარელის რაიონის აგარის № 99 საარჩევნო ოლქი.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — უშანგი ზაქარიას ძე მეყანწიშვილი — საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — მურმან პარ-
თენის ძე ბაკურაძე — ქარელის რაიონის აგარის ავტოსატრანსპორტო ბანტ-
რის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — გულნარა დავითის ასული ვერუ-
ლაშვილი — ქარელის რაიონის აგარის საკონსერვო ქარხნის პირველადი კომუ-
ნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ლიდა ილიას ასული მესხიძე — ქარელის რაიონის აგარის საშუალო სკო-
ლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

გიორგი დიმიტრის ძე თხელიძე — ქარელის რაიონის აგარის მუშათა კო-
პერატივის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

სოგრატ იოსების ძე ნოზაძე — კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავ-
შირის საქართველოს შაქრის კომბინატის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მაყვალა იასონის ასული გათაშვილი — კულტურის მუშაკთა პროფკავში-
რის ქარელის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბეჟან ალექსის ძე ბეჟუაშვილი — ქარელის რაიონის დირბის კოლმეურ-
ნეობის წევრებისაგან;

ეკატერინე არტემის ასული ოსაძე — ქარელის რაიონის ფცის საბჭოთა
მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცხაკაიას რაიონის ნოსირის № 296 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — შოთა თენგიზის ძე ხუ-
ხუა — მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონული საბჭოს აღმასრულე-
ბელი კომიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ნოე იონას ძე
გაგუა — ცხაკაიას რაიონის ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის პირვე-
ლადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი — ქეთევან ალექსის ასული თო-
დუა — ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშუალო სკოლის პედაგოგიური კო-
ლექტივისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ნინა ათანასის ასული ალიაკინა — ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის მე-
ღორეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ბაბილინა სანდროს ასული ქევანიშვილი — ცხაკაიას რაიონის გეჯეთის
ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ძაბა ამბაკოს ასული ბჟალავა — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

დოროთე ლევანის ძე აბაკელია — ცხაკაიას რაიონის ტეხურის საბჭოთა ჰეურხეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ბიჭუნა მიხეილის ძე ბესელია — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცხაკაიას საშენ მასალათა კომბინატის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ანზორ კაპიტონის ძე წოწონავა — ცხაკაიას რაიონის გეჯეთის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 13 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების მორიგი არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების რწმუნების ვადის გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაინიშნოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების მორიგი არჩევნები კვირას, 1970 წლის 13 დეკემბერს.

2. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სახალხო მოსამართლეების არჩევნების საარჩევნო კამპანიის პერიოდში — 1970 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩაატარონ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

159 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 25-ე მუხლისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების მე-16 მუხლის საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები და მათში სახალხო მოსამართლეთა შემდეგი რაოდენობა:

1. ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო — 6 სახალხო მოსამართლე.
2. ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლო — 5 სახალხო მოსამართლე.
3. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლო — 4 სახალხო მოსამართლე.
4. ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო — 3 სახალხო მოსამართლე.
5. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო — 5 სახალხო მოსამართლე.
6. ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლო — 3 სახალხო მოსამართლე.
7. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო — 6 სახალხო მოსამართლე.
8. ქ. გორის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
9. ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
10. ქ. რუსთავის სახალხო სასამართლო — 4 სახალხო მოსამართლე.
11. ქ. ფოთის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
12. ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო — 5 სახალხო მოსამართლე.
13. ქ. ტყიბულის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
14. ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
15. აბაშის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
16. ადიგენის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
17. ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
18. ასპინძის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
19. ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
20. ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
21. ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ბოგდანოვკის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
23. ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
24. ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე
25. გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლო — 4 სახალხო მოსამართლე
26. გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლო—1 სახალხო მოსამართლე
27. გორის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
28. გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლო — 3 სახალხო მოსამართლე.
29. დმანისის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
30. დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
31. ვანის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
32. ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
33. ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
34. თელავის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
35. თეთრიწყაროს რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
36. თერჯოლის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
37. თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
38. კასპის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
39. ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
40. ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
41. ლენტეხის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
42. მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
43. მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
44. მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
45. მესტიის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
46. მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
47. ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
48. ონის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
49. საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
50. სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლო — 3 სახალხო მოსამართლე.
51. საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
52. სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.
53. ქარელის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
54. ყაზბეგის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.
55. ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

56. ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

57. ჩოხატაურის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

58. ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

59. ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.

60. წალენჯიხის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.

61. წალკის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

62. წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

63. წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

64. წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

65. ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლო — 2 სახალხო მოსამართლე.

66. ხობის რაიონის სახალხო სასამართლო — 1 სახალხო მოსამართლე.

აღნიშნულის გამო ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 9 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების და მათში სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ და 1965 წლის 11 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების და სახალხო მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 26 ოქტომბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 ქალაქ ტყიბულის და ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში დეპუტატების მონაწილეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქალაქ ტყიბულის და ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გარკვეულ მუშაობას ატარებენ დეპუტატებთან. პერიოდულად ეწყობა დეპუტატთა შეკრებები მათი უფლებამოვალეობის, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების და საბჭოთა მშენებლობის ცალკეული საკითხების გაცნობის მიზნით. პრაქტიკაშია ახალგაზრდა დეპუტატების თათბირები, სადაც მეტი გამოცდილების

მქონე დეპუტატები მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ ახლად არჩეულთ. ისინი უზრუნველყოფილი არიან „დეპუტატის სამახსოვრო“-თი.

დეპუტატებს მუშაობაში დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი გამოცემები და რადიოგადაცემები, რომლებიც პერიოდულად აშუქებენ მათი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, პოპულარიზაციას უწევენ დეპუტატის მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ფორმებს.

დეპუტატების დიდი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს სესიების, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიებისათვის განსახილველი საკითხების მომზადებაში, მშრომელთა განცხადება-საჩივრების შემოწმებაში. ისინი ქმედით ზომებს იღებენ, რათა ამომრჩევლებს გააცნონ პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი, სესიების გადაწყვეტილებანი.

საანგარიშო პერიოდში ქალაქ ტყიბულის საქალაქო და სასოფლო საბჭოების მუდმივ კომისიებში გაერთიანებული დეპუტატების მონაწილეობით სესიებისათვის მომზადებულია 93 საკითხი, ხოლო აღმასკომის სხდომებისათვის— 382 საკითხი. ყვარლის რაიონში სესიებისათვის დეპუტატების მონაწილეობით მომზადებულია 183 საკითხი, აღმასკომის სხდომებისათვის — 434.

დეპუტატების დიდი ნაწილი სათანადო მუშაობას ატარებს სესიების გადაწყვეტილებათა მოსახლეობამდე დასაყვანად და მათს შესასრულებლად. მაგალითად, ყვარლის საქალაქო საბჭოს სესიამ განიხილა ქალაქის კეთილმოწყობის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები. მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად დეპუტატების ინიციატივით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით რაიონის ცენტრში აშენდა წიგნის მაღაზია, საპარიკმახერო, დაიგო ასფალტი 800 კვადრატულ მეტრ ფართობზე და სხვა.

დეპუტატები აქტიურად ეხმარებიან აღმასკომებს ფულადი სახსრების ამოღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების შესრულებაში და მშრომელთა განცხადება-საჩივრების შემოწმებაში. 1969—1970 წლის პირველ ნახევარში ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომში შემოსული 724 განცხადება-საჩივრიდან დეპუტატებმა შეამოწმეს 403 განცხადება-საჩივარი. ქალაქ ტყიბულის და ყვარლის რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებში შესული განცხადება-საჩივრები ძირითადად დეპუტატების მიერაა შემოწმებული.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები რეგულარულად ხვდებიან ამომრჩევლებს, რომლებსაც ანგარიშს აბარებენ, როგორც საბჭოს, ისე თავიანთი მუშაობის შესახებ. 1969 წელს ქალაქ ტყიბულის ადგილობრივი საბჭოების 423 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 420 დეპუტატმა, ხოლო მიმდინარე წელს სასოფლო საბჭოს 282 დეპუტატიდან — 280 დეპუტატმა; 1969 წელს ყვარლის რაიონში ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა ყველა დეპუტატმა, მიმდინარე წელს კი სასოფლო საბჭოს 391 დეპუტატიდან — 386 დეპუტატმა.

ამასთან ერთად, ქალაქ ტყიბულის და ყვარლის რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დეპუტატებთან მუშაობაში გააჩნიათ ნაკლოვანებები. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი არასაკმარისად ეხმარება დეპუტატებს მოვალეობის შესრულებაში. იშვიათად აწყობენ დეპუტატების შეკრებებს მათი უფლება-მოვალეობისა და საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანების განსამარტავად. დეპუტატების ერთი ნაწილი ვერ ერკვევა თავის უფლება-მოვალეობებში, არ მონაწილეობს სესიებსა და აღმასკომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში. ქალაქ ტყიბულის გურნის სასოფლო საბჭოს 32 დეპუტატიდან სესიების, აღმასკომების და მუდმივი კომისიების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღია 16 დეპუტატს, საწირის სასოფლო საბჭოს 45 დეპუტატიდან — 17-ს, ხოლო ყვარლის რაიონის მთისძირის სასოფლო საბჭოს 25 დეპუტატიდან — 10-ს.

იმის გამო, რომ ზოგიერთი დეპუტატი არ მონაწილეობს საკითხების მომზადებაში, ნაკლებად აქტიურობს სესიებზე საკითხების განხილვაში. მაგალითად, ტყიბულის საქალაქო საბჭოს 141 დეპუტატიდან სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია დეპუტატთა საერთო რაოდენობის 75 პროცენტს. ყვარლის რაიონულ საბჭოში — 60 პროცენტს, ყვარლის საქალაქო საბჭოში — 66 პროცენტს.

ნაკლები ყურადღება ექცევა საბჭოების მუდმივ კომისიებში მუშა და კოლმეურნე დეპუტატების აქტივობის ამაღლებას. მუშა და კოლმეურნე დეპუტატების ნაწილმა, მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, არ იცის როგორ მოაწყოს ამომრჩევლების მიერ დაყენებული საკითხების განხორციელება. აღნიშნული საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ნაკლებად იყენებენ მათ სესიების და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მოსამზადებლად.

დეპუტატების აქტიურობას ხელს უშლის საბჭოებთან არსებული ზოგიერთი მუდმივი კომისიის უმოქმედობაც. ყვარლის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, კეთილმოწყობის და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიებს აღმასკომის სხდომაზე 1970 წელს შეტანილი აქვთ თითო საკითხი.

სუსტად მუშაობენ ტყიბულის საქალაქო საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიებიც. მუდმივი კომისიების ნაწილი თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს არ აბარებს სესიას.

1969 წელს ტყიბულის საქალაქო საბჭოს არც ერთ მუდმივ კომისიას ანგარიში არ ჩაუბარებია სესიისათვის, მიმდინარე წელს კი ანგარიში ჩააბარა მხოლოდ ორმა კომისიამ.

ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს ქალაქ ტყიბულის და ყვარლის რაიონის სასოფლო საბჭოებში.

მიუხედავად არსებული კანონისა, სასოფლო საბჭოების დეპუტატებს სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მონაწილეობის დროს არ ეძლევათ ხელფასი საშუალო გამომუშავების მიხედვით სამუშაო ადგილიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ტყიბულის საქალაქო და ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დასახონ ქმედითი ღონისძიებანი დეპუტატების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) პერიოდულად მოაწყონ დეპუტატთა შეკრებები, სემინარები, მეცადინეობანი დეპუტატის უფლება-მოვალეობების, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებების და საბჭოთა მშენებლობის ცალკეული საკითხების განმარტების მიზნით;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში და მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაში, უფრო ნაყოფიერად საქმიანობდნენ მუდმივ კომისიებში, უზრუნველყონ დეპუტატების მონაწილეობა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშა და კოლმეურნე დეპუტატებთან მუშაობის გაუმჯობესებას;

გ) მხარი დაუჭირონ და განავითარონ დეპუტატების შემოქმედებითი ინიციატივა. მეტი ყურადღება დაუთმონ საბჭოების სესიებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების და წინადადებების შესრულებას, დაეხმარონ დეპუტატებს ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებაში. პერიოდულად განიხილონ ამომრჩეველთა განაწესების და წინადადებების შესრულების მიმდინარეობა და დასახონ ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) პერიოდულად შეისწავლონ ქვემდგომი საბჭოების დეპუტატების საქმიანობა, სათანადო დახმარება გაუწიონ მათ და მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები აქტიურ დახმარებას უწევდნენ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს მუშაობაში;

ბ) პრესის, რადიოსა და სხვა საშუალებებით განაზოგადონ და ფართოდ გააშუქონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მუშაობის დადებითი გამოცდილება;

გ) მიიღონ სათანადო ზომები, რათა სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატები სადეპუტატო მოვალეობის შესრულების დროს ღებულობდნენ ანაზღაურებას სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონის შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანტაძე

თბილისი, 1970 წლის 26 ოქტომბერი.

161 საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის სასოფლო № 186 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 47-ე, 48-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის სასოფლო № 186 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

კეცბა ივანე შაიბის ძე — პროფესიონალური კავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოსაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

გურგენიძე გივი მიტროფანეს ძე — სოხუმის რაიონული კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი

შაპოვალოვა ლუბა ივანეს ასული — განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

დერდერიანი აიკუშ აკოფის ასული — სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ავიძბა ლუბა ბადროს ასული — კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სოხუმის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხაგუშ მიხეილ მახტას ძე — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობა „ლიხნის“ კოლმეურნეებისაგან;

მეშვილდიშვილი ალექსანდრე ერასტის ძე — გუდაუთის რაიონის სოფელ **ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;**

ესავა ბაბუსია კონსტანტინეს ასული — გუდაუთის რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მნაცაკანოვა როზა იაკობის ასული — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის გაგრის რაიონული ორგანიზაციისაგან;

აკუჟბა ნარი ჰუსეინის ასული — გაგრის რაიონის რუსთაველის სახელობის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ჭელიძე შალვა მეთოდეს ძე — გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 30 ოქტომბერი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მეორე რანგის კაპიტანი ვიქტორ ივანეს ძე **სუმატოხინი** დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დაარსების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

1. ოთარ იასონის ძე ალექსიშვილს — თეატრის მთავარ რეჟისორს.
2. ვალენტინა იოსების ასულ სვანელს — მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

1. რუსუდან გედევანის ასულ აბზიანიძეს — მსახიობს.
2. აკაკი აბესალომის ძე ბაქრაძეს — მსახიობს.
3. ასმათ მოსეს ასულ მოსეშვილს — მსახიობს
4. როდერ ივანეს ძე ჩაჩანიძეს — მსახიობს.
5. ამირიდონ იასონის ძე ხვედელიძეს — მსახიობს.
6. დარეჯან კონსტანტინეს ასულ ჯაფარიძეს — მსახიობს.
7. იზოლდა ლუკას ასულ ჯიშკარიანს — მსახიობს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

1. ალექსანდრე მიხეილის ძე კავთელაძეს — თეატრის დირექტორს.
2. აკაკი ალექსანდრეს ძე მიშველიძეს—თეატრის დირექტორის მოადგილეს
3. შალვა ალექსანდრეს ძე წერეთელს — სადადგმო ნაწილის გამგეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის:

1. დავით მელიტონის ძე აბესაძეს — თეატრის უფროს ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 28 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით **ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 8 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

165 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და ამ თეატრის დაარსების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ანტონ გერასიმეს ძე **ბარათაშვილი** — ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.
2. რეზო არკადის ძე **გიორგაძე** — ავტომანქანის მძღოლი.
3. სოლომონ ტარასის ძე **ყიფშიძე** — თეატრის რეჟისორი.
4. პავლე ილიას ძე **შავდია** — თეატრის უფროსი გამნათებელი.
5. ვლადიმერ სერგოს ძე **შუკაკიძე** — ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.
6. ნოდარ გრიგოლის ძე **ჩაჩანიძე** — ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 8 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 ამხ. ა. ბ. ჩავლეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ამხ. აკაკი გიორგის ძე **ჩავლეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 9 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 ამხ. დ. ა. ხვარწკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ამხ. დიმიტრი ანდრიას ძე **ხვარწკია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 9 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 პროფესორ ი. მ. რცხილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ირაკლი მიხეილის ძე **რცხილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 ამხ. ვ. ი. ხარებავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. ვახტანგ ივანეს ძე **ხარებავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 23 ოქტომბერი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

170 **ამხ. შ. პ. ჯოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შოთა პარმენის ძე ჯოგლიძე **დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ტაბატაძე.

თბილისი, 1970 წლის 26 ოქტომბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც თავის სხდომაზე 1970 წლის 26 ოქტომბერს განიხილა საკითხი საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების არჩევნების ჩატარების შესახებ, დაავალა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება, რისთვისაც ურჩია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რომ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად შერჩეულ იქნენ უმწიკვლო და მორალურად მტკიცე მოქალაქენი, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით და თავიანთი საქმიანი და პოლიტიკური თვისებებით შეუძლიათ სწორად გადაჭრან სოციალისტური მართლმსაჯულების წინაშე მდგარი ამოცანები;

აულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საშუალებით გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ;

მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მოთხოვნა ამომრჩევლებისათვის სახალხო მოსამართლეთა მიერ ანგარიშების ჩაბარების შესახებ;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული წინადადებების აღრიცხვასა და მათ დროულ განხილვას;

ადგილობრივი პრესისა და რადიოს საშუალებით ფართოდ გააშუქონ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობა, მოსამართლეთა მიერ ამომრჩევლებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ანგარიშების ჩაბარებისა და მოსამართლეთა მუშაობის გამოცდილების საკითხები.

ამასთან ერთად პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა სახალხო მოსამართლეთა მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებისადმი, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ ანგარიშების ჩაბარების უკეთ ორგანიზაციის საქმეში.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დააჯილდოვა 220 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		7
ქ. რუსთავიდან		3
ქ. ტყიბულიდან		4
ქ. ჭიათურიდან		17
ქ. ფოთიდან		5
ადიგენის	რაიონიდან	6
ახალციხის	„	10
გურჯაანის	„	4
დუშეთის	„	5
თეთრიწყაროს	„	16
თიანეთის	„	4
კასპის	„	5
ლაგოდეხის	„	16
მარნეულის	„	69
ორჯონიკიძის	„	6
საჩხერის	„	30
ყაზბეგის	„	3
წითელწყაროს	„	4
ხობის	„	6

ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ- დაყოფაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებით ყვარლის რაიონის გრემის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ალმატი და მიეკუთვნა საბუის სასოფლო საბჭოს.